



საქართველო GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11437/01
03/11/2021

11437-01-2-202111031655



შპს „თბილისი ჰესი“

მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N29

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2021 წლის 8 ოქტომბერს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი №14467 განცხადება, რომელიც ეხება მდინარე მტკვარზე 20,2 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (თბილისი ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშთან ერთად წარმოდგენილ shp ფაილებს არ აქვს მინიჭებული კოორდინატთა სისტემა (გეოგრაფიული პროექცია). ამასთან, Shp ფაილებში (ჰესის სტრუქტურული განლაგება) წარმოდგენილია ჰიდროელექტროსადგურის ერთობლივი ფენა და ერთმანეთისგან არ არის გამოყოფილი ჰესის ინფრასტრუქტურული ერთეულები;
- გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ საპროექტო ჰესის მშენებლობის პროცესში მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გათვალისწინებულია ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა, რომლის სიგრძე შეადგენს 592 მეტრს, თუმცა shp ფაილებში ნაპირსამაგრი კედლის სიგრძეა 570 მეტრი. shp ფაილებში წარმოდგენილი ინფრასტრუქტურა თანხვედრაში უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში მოცემულ ინფორმაციასთან. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში დეტალურად არ არის განხილული ნაპირსამაგრი კედლის სტრუქტურა და პარამეტრები;
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ჰესის კაშხლის გასწორის ორივე მხარეს მოეწყობა დამცავი კედლები, თუმცა წარმოდგენილი არ არის მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მოსაწყობი კედლის შესახებ ინფორმაცია (ადგილმდებარეობა და პარამეტრები);

- პროექტის მიხედვით, ჰესის შენობის მიმდებარედ, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე დაგეგმილია 35 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობა, რომელიც 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზით დაკავშირებული იქნება ქ/ს „დიდ ნავთლულთან“. დოკუმენტში განხილული არ არის ელექტროგადამცემი ხაზის პარამეტრები, მოწყობის საკითხები და გარემოზე ზემოქმედება. ასევე, აღნიშნული ეგხ-ის დერეფანი ასახული არ არის shp ფაილებში;
- გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ზეთების დაღვრის პრევენციის მიზნით, დაგეგმილია მიწისქვეშა ზეთშემკრები ავზის მოწყობა, რომლის მოცულობა და სხვა პარამეტრები განხილული არ არის;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია გეოლოგიურ და ჰიდროლოგიურ კვლევებში მონაწილე ექსპერტების შესახებ, შესაბამისი ხელმოწერებით;
- გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ჰესის კაშხლის ზედა ბიეფის მხარეს გათვალისწინებულია საავტომობილო ხიდის მოწყობა, რომლის ჯამური სიგრძე და სიგანე, ასევე მისასვლელ გზასთან შეერთების პარამეტრები არ არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, დოკუმენტში მითითებულია, რომ მოწყობილი იქნება დროებითი ხიდიც, თუმცა აღნიშნული ხიდის ადგილმდებარეობისა და პარამეტრების შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი;
- გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო ბანაკზე გათვალისწინებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების მოწყობა, რაც ასევე ასახულია გენ-გეგმაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზმ-ის ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- სამშენებლო ბანაკის გენ-გეგმაზე ასახულია საწვავის შესანახი ავზები, რომელთა პარამეტრები, ასევე საწვავის დაღვრის პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილი არ არის;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების მართვისთვის გათვალისწინებული სალექარის პარამეტრები ზღრ ნორმების პროექტთან ერთად;
- გზმ-ის ანგარიშში (გვ. 8) მითითებულია, რომ „თბილისი ჰესი იქნება კალაპოტური ტიპის, რაც ნიშნავს რომ გათვალისწინებული არ არის სადერივაციო-სადაწნეო სისტემის (გვირაბი, მილსადენი) და დამოუკიდებელი სააგრეგატო შენობის მოწყობა“, დოკუმენტში (გვ. 30) ასევე აღნიშნულია, რომ „წყლის მიყვანა ზედა ბიეფიდან სატურბინო კამერამდე მოხდება რკინა ბეტონის სადაწნეო მილსადენით“. ზემოაღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას;
- გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ტექნოლოგიური პროცესებისთვის წყალაღება გათვალისწინებულია მდ. მტკვრიდან (55 000 მ³/წელ), თუმცა მითითებული არ არის წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები და სამარაგო რეზერვუარებამდე წყლის მიწოდების ტექნიკური გადაწყვეტა და სქემა;
- გზმ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ წყალსაცავის შეტბორვის ზონის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორია წარმოადგენს კრწანისის ტყე-პარკს. აქვე აღნიშნულია, რომ

შეტბორვის ფართობი არ გასცდება მდინარის კალაპოტს და, შესაბამისად, ზემოქმედების რისკი იქნება მინიმალური. დოკუმენტში ტყე-პარკის ტერიტორიაზე შეფასებული უნდა იქნეს სხვა სახის ზემოქმედებები;

- გზმ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ ჰესის გამყვანი არხის პროექტირებისას გამოიკვეთა ჰესის მიმდებარედ არსებული გზის დერეფნისა და ამავე დერეფანში არსებული ეგხ-ის გადატანის საჭიროება (გადატანას ექვემდებარება 12 ერთეული საყრდენი ანძა). გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე გზის გადატანის შესახებ შესაბამისი მუნიციპალიტეტის პოზიცია და შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი. გარდა ზემოაღნიშნულისა, ეგხ-ის და გზის როგორც არსებული, ასევე საპროექტო დერეფნები ასახული უნდა იყოს shp ფაილებში;
- გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ჰესის მშენებლობის პერიოდში დაგეგმილია 2000 მ³ მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება, თუმცა განხილული არ არის რა სიღრმეზე მოხდება ნიადაგის მოხსნა, ასევე მითითებული არ არის ინფორმაცია მოხსნილი ნიადაგის დასაწყობების ადგილისა და პირობების შესახებ;
- გზმ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ ფუჭი ქანების განთავსება დაგეგმილია ქ. თბილისის სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე. დოკუმენტში განხილული არ არის ინფორმაცია ფუჭი ქანების დროებითი განთავსების ადგილების და პირობების შესახებ, ასევე წარმოდგენილი არ არის სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე გადასატანი გრუნტის სავარაუდო მოცულობა და აღნიშნულის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;
- 2020 წლის 26 ივნისს გაცემულ სკოპინგის დასკვნა N59-ში მითითებულია, რომ „საპროექტო ტერიტორია კვეთს მტკვრის ქვიშა-ხრემის გამოვლინების კონტურსა და სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემი) მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიების: N10001013 (04.10.2019 წ. ვადა – 1 წ. მომპოვებელი – ი/მ ნუგზარ წყაროზია), N1004708 (17.07.2017 წ. ვადა – 5 წ. მომპოვებელი – შპს „კრწანისი“), N10000908 (08.08.2019 წ. ვადა – 3 წ. მომპოვებელი – შპს „ლ. და ზ. ინერტი“) კონტურებს. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან, წიაღის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე გზმ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები“. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ ი/მ ნუგზარ წყაროზიასთან (N10001013 04.10.2019 წ. ვადა – 1 წ. მომპოვებელი) შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი;

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

